მომხს: ნ. მეტრეველი

<u>**პროექტი**</u>

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

„-----“ ნოემბერი 2022 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის შესაბამისად,

1. გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება:

ა) სოფელ თეთრიწყლებში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 426 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.13.31.488) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა;
ბ) სოფელ შალაურში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 124 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.06.41.037) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა;
გ) სოფელ ართანაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 268 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.15.34.286) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა;
დ) სოფელ შვალეში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 268 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.16.44.315) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა;
ე) სოფელ კისისხევში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 394 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.04.38.456) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა;
ვ) სოფელ ქვემო ხოდაშენში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 366 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.02.35.418) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა;
ზ) სოფელ ნაფარეულში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 340 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.14.36.385) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა;
თ) სოფელ გულგულაში მდებარე შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: 53.09.37.005) I სართულზე არსებული 62 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი;
ი) სოფელ რუისპირში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 401 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.14.36.385).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

საკრებულოს თავმჯდომარე **თენგიზ მთვარელიშვილი**